

წიგნი ბალახაძე

სამოქალაქო
თავდაცვა და
უსაფრთხოება



XII
კლასი

წიგნი ტალახაკი

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება

XII კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ს.ს.ი.პ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება 375, 18. 05. 2012წ.)



გამომცემლობა „სიღი“
თბილისი, 2012

წინეო ტალასაძე
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება XII კლასისათვის

მოსწავლის წიგნი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ განკუთვნილია მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის. იგი წარმოადგენს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების მესამე საფეხურს.

მოსწავლის სახელმძღვანელო წარმოადგენს სამოქალაქო თავდაცვის შესახებ თანამედროვე ინფორმაციის მქონე მასალის კრებულს, სადაც განხილულია შესაძლო საფრთხეების წყაროები; უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა; თანამედროვე საბრძოლო საშუალებები და მათი დამაზიანებელი ფაქტორები; ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები, პირველადი დახმარების აღმოჩენის მეთოდები; აგრეთვე, ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სისტემისა და შეიარაღებული ძალების მუშაობის შესახებ.

სახელმძღვანელო მოიცავს 3 თავს და 12 გაკვეთილს. მასში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები: პირდაპირი სწავლება, დისკუსია, მსჯელობა, მოდელირება. მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის თემასთან დაკავშირებული საინტერესო ამბები და სხვა ქვეყნების გამოცდილება, აგრეთვე, ისტორიული ამბები. მასალის ათვისების გასამარტივებლად წიგნი შედგენილია შემდეგი რუბრიკების გამოყენებით:



საქართველოს
კანონი



უბის წიგნაკი



იმსჯელეთ!



ეს ყველაფერი უნდა იცოდეს!



კითხვები



ეს საინტერესოა!



ღირსშესანიშნავი თარიღი



ისტორიიდან



ინტერნეტ-რესურსი

რედაქტორი: გიორგი გაბრიელაშვილი

დიზაინერი: გიორგი ხარებავა

© გამომცემლობა „სიდი“, 2012

ტელ.: 790 26 51 52; ელ-ფოსტა: ceedgeo@yahoo.com

ISBN 978-9941-0-4525-7

სახიჯი

თავი I: საბანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის სისტემა

1-2. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის არსი	5
3. საქართველოს თავდაცვის სისტემა და შეიარაღებული ძალები	15
4. სამხედრო სამსახური.....	24
5. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)	34

თავი II: თანამედროვე სახიშროლო საშუალებები

6. იარაღთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები	48
7. მასობრივი დაზიანების საბრძოლო საშუალებები.....	54
8. ბირთვული იარაღი	62
9. ბაქტერიოლოგიური და არალეტალური იარაღი	70
10. ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები	79

თავი III: პირველადი სამედიცინო დახმარება

11-12. პირველადი სამედიცინო დახმარება	88
განმარტებითი ლექსიკონი	114

ასის
ების
როვე
ები;
ები
ები,
ცვის
ების
ალას
ების
ნიგნი

თავი I საგანგებო სიტუაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემა



საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის არსი

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება წარმოადგენს საკმაოდ დიდი თეორიული საფუძვლის მქონე დისციპლინას. ეს ტერმინი დასავლეთის ქვეყნებში XX საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა, თუმცა მხოლოდ იდეის დონეზე. სამოქალაქო თავდაცვითი სისტემის პრაქტიკულად გამოყენება ევროპაში მეორე მსოფლიო ომიდან დაიწყო, როდესაც მასიურად იბომბებოდა ქალაქები და დალუპულთა რაოდენობამ მშვიდობიან მოსახლეობაში ათეულ მილიონს გადააჭარბა. 1950-60-იან წლებში სამოქალაქო თავდაცვა შეიქმნა თითქმის ყველა უდიდეს სახელმწიფოში. სამოქალაქო თავდაცვას საერთო ხელმძღვანელობას მთავრობები უწევდნენ, ხოლო ადგილებზე — ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. სამოქალაქო თავდაცვის უშუალოდ ხელმძღვანელობისათვის შექმნილია მართვის სპეციალური ორგანოები და საჭირო ხდება ძალების და საშუალებების მომზადება.

თანამედროვე პირობებში სამოქალაქო თავდაცვა გულისხმობს მოსახლეობის ევაკუაციას იმ ქალაქებიდან, რომლებზედაც მოსალოდნელია მასობრივი განადგურების იარაღით თავდასხმა. ევაკუაციისათვის წინასწარ არის შერჩეული რაიონები და აგებულია თავშესაფრები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის უზრუნველყოფას ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რაც შესაძლებელს ხდის შეამციროს მოსახლეობის რადიაქტიური ან სხვა სახის მონამვლის საშიშროება.

ცივი ომის დროს და დღესაც განვითარებულ ქვეყნებში საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით მოსახლეობას სპეციალურ ინსტრუქტაჟს უტარებენ და საინფორმაციო ბიულეტენებს ურიგებენ, რომელშიც მოუთხრობენ, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ხანძრის, დაბომბვის, მიწისძვრის ან სხვა რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენის დროს.

სამოქალაქო თავდაცვა - მშვიდობიანობისა და ომის დროს მოსახლეობის დაცვისა და ეკონომიკის ობიექტების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად დასახულ თავდაცვის ღონისძიებათა სისტემა.

სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები

1. მოსახლეობის, სამრეწველო და კულტურულ-ისტორიული ობიექტების დაცვა საგანგებო სიტუაციების (ავარიები, სტიქიური უბედურებები, სამხრის მოქმედებები) დროს;

2. მართვის ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია სტიქიური და ეკოლოგიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების პროგნოზირების, გაფრთხილების და ლიკვიდირებისას;

3. რადიაციულ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ვითარებაზე დაკვირვების ორგანიზება და კონტროლი;

4. საგანგებო სიტუაციებში დაზარალებული მოსახლეობისთვის ავარიულ-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება;

5. სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, სამრეწველო ობიექტების ხელმძღვანელი პირების, ასევე მოსახლეობის მომზადება საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისათვის და საომარი მოქმედების დროს მონინალმდევის თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციისათვის;

6. სამოქალაქო თავდაცვის ძალების შექმნა, აღჭურვა და მუდმივი მზადყოფნა.

სამოქალაქო თავდაცვის სისტემა აქტიურად მუშაობდა საბჭოთა წლებში. ყოფილ საბჭოთა კავშირში 90-იან წლებამდე მსხვილი ავარიებისა და კატასტროფების არიდება ევალებოდა სამოქალაქო თავდაცვის ძალებს, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო საგანგებო სიტუაციებზე და მოსახლეობის დაცვაზე საომარ პერიოდში. 1961 წლიდან სისტემა ასრულებდა სტრატეგიულ თავდაცვით ამოცანას: იცავდა მოსახლეობას და მრეწველობას მასიური დაზიანების იარაღის შესაძლო საფრთხეებისაგან. მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფდა საიმედო თავშესაფრებით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რადიაციული და ქიმიური დაზვერვის მონყობილობებით.

90-იანი წლებიდან საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემა საერთოდ მოიშალა. თავშესაფრები მწყობრიდან გამოვიდა, დაზიანდა სავენტილაციო სისტემები. თბილისში არსებული 400-მდე თავშესაფრიდან დიდი ნაწილი გაიყიდა ან განადგურდა, ინვენტარი კი ათეული წლებია არ განახლებულა. შეიცვალა სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სანარმოთა ტექნოლოგიები და შეიარაღების სისტემები, შესაბამისად, შეიცვალა სამხედრო დოქტრინები*. გაჩნდა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, კანონი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“,

* **სამხედრო დოქტრინა** – სახელმწიფოს მიერ დროის გარკვეული მონაკვეთისათვის (ძირითადად ათი წლით) მიღებულ ოფიციალურ შეხედულებათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო ძალების საშუალებების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. დოქტრინაში კონცენტრირებულია ქვეყნის სამხედრო პოლიტიკა, მის წინაშე მდგარი სამხედრო ამოცანები, საფრთხეები და მათი გადაწყვეტის ხერხები. დოქტრინის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა და საგარეო ვითარება, ძალათა ბალანსი მსოფლიოში და გეოპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებები.

კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ“. ყველა მათგანში აისახა ჩვენი ქვეყნის ახალი მდგომარეობა, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის თავისებურებები და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები. ყოველივე ეს ბუნებრივია, აისახა სამოქალაქო თავდაცვის თანამედროვე მდგომარეობაზე და განვითარების პერსპექტივებზე.

იხსჯელეთ!



გაიხსენეთ:

საგანგებო სიტუაციების სახეები.

რომელი მათგანი ახასიათებს ყველაზე მეტად საქართველოს?



ეს საინტერესოა!

სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ზემოქმედების მოხდენა ნაციონალური სტრუქტურის განვითარებაზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაზე, მათთვის დახმარების განევაზე, აგრეთვე მატერიალური ფასეულობების და გარემოს შენარჩუნებაზე სტიქიური უბედურებების და ტექნოგენური კატასტროფების დროს.


ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია დაკავშირებულია მშვიდობიანობის პრობლემებთან ანუ უფრო მეტად სამოქალაქო უსაფრთხოებასთან, ვიდრე სამოქალაქო თავდაცვასთან. შეინიშნება ტერმინის „სამოქალაქო თავდაცვა“ თანდათანობით გადასვლის ტენდენცია ტერმინზე - „სამოქალაქო უსაფრთხოება“. რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ საკითხებით დაკავებული საერთაშორისო ნაციონალური ორგანიზაციების უმეტესობა საომარი ხასიათის ამოცანებიდან გადავიდა მშვიდობიან ვითარებაში საგანგებო მდგომარეობის შექმნისას ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაზე.

წყარო: სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეს მასალები. <http://www.icdo.org>



სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით 1990 წელს დაწესდა სამოქალაქო თავდაცვის დღე — 1 მარტი. ამ თარიღის დაწესების მიზანია ადამიანები შეაჩვიოს უსაფრთხო ცხოვრების კულტურას.

აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველო 1995 წელს გაწევრიანდა.



სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო სიმბოლო


სამოქალაქო თავდაცვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები



ბუნებრივ-ტექნოგენური საფრთხეები. საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის საფრთხეები საქართველოში მაღალია. იზრდება საგანგებო სიტუაციების შედეგად მიყენებული ზარალი, ზიანდება გარემო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია წყალდიდობები.



ომის საფრთხეები. ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები ატომური პოტენიალის შემცირების შესახებ, ქიმიური იარაღის აკრძალვის და განადგურების შესახებ ამცირებს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საფრთხეს თანამედროვე ომებში და შეიარაღებულ კონფლიქტებში, მაგრამ სრულად არ გამოირიცხავს მას. გარდა ამისა, არსებობს მონინაალმდეგეზე ეკონომიკური, პოლიტიკური და ინფორმაციული ქმედებებით ზენოლა, საერთაშორისო და შიდა ტერორიზმი. ასეთ პირობებში სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები ისევე აქტუალურია, ზოგი მიმართულებით კი დიდ მნიშვნელობას იძენს.



სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები საკმაოდ მასშტაბური და მოცულობითია. ამიტომ მრავალ ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებში, თითქმის ყველა სამთავრობო და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა მონაწილეობს.

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე **ეროვნული რეაგირების გეგმა** არის ერთიან სისტემაში მყოფ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რეაგირების გეგმების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას.

სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელებას კოორდინაციას უწევს **შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი**, თუმცა საქმეების შემთხვევაში მართვის პროცესში მონაწილეობენ მხარდამჭერი უწყებები.

სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების მართვის პროცესში მონაწილე მხარდაჭერი უწყებები




საგანგებო სიტუაციების მართვა

საქართველოში საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი შეიქმნა 1997 წელს, 2004 წელს კი გაუქმდა. მის ნაცვლად 2005 წელს შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი. იგი წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს:

-  ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით საქმიანობის კოორდინაცია;
-  საომარი მდგომარეობის პერიოდში სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფას.

* გაკვეთილში გამოყენებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდის მასალები.

შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სტრუქტურა



სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველო ორგანიზებასა და კოორდინირებას უწევს ქვეყნის მასშტაბით შესაძლო საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს. კერძოდ:

■ აწარმოებს დაინტერესებულ უწყებებთან და დანესებულებთან ერთად ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების პროგნოზირებას და მისი წინმსწრები მოვლენების მონიტორინგს;



■ ამზადებს საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირებისა და სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს;

■ ახორციელებს რეგიონალურ და რაიონულ (საქალაქო) მმართველობის დონეზე შესაძლო საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კოორდინაციას, მათთვის რეკომენდაციების, მეთოდური და ფორმალიზებული დოკუმენტების მომზადებასა და მიწოდებას;

■ უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ჰუმანიტარული დახმარებებისა და სამაშველო ჯგუფების მიღებას, გაგზავნასა და დანიშნულებისამებრ გადაგზავნას;

■ ორგანიზებას უკეთებს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობას;

■ საგანგებო სიტუაციების მართვის უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ქმნის საინფორმაციო ბანკს;

■ ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური ხასიათის ინციდენტებზე რეაგირების მიზნით აწარმოებს ვითარებათა შეფასებას, ადგილზე დეკონტამინაციის* ორგანიზებასა და განხორციელებას.

სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური (სამმართველო)

■ უზრუნველყოფს ხანძრებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შესახებ შემოსული შეტყობინებების მიღებასა და დამუშავებას;

■ ხანძრისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში გამოძახების ადგილზე შესაბამისი დანაყოფების ძალებისა და საშუალებების გაგზავნას;

* დეკონტამინაცია - გარე ობიექტების (ნიადაგის, ტანსაცმლის და სხვ.) გაუვნებლება მომხმამავე აირების ან სხვა მავნე ნივთიერებებისგან განთვისუფლების ან ნეიტრალიზაციის გზით.



უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვებას და მის მიწოდებას შესაბამისი სამსახურებისათვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დავალებაზე გასვლის, მათი მუშაობისა და ადგილზე არსებული ვითარების შესახებ;



შეიმუშავებს სახელმწიფო ხანძარსა და სხვა სახის საშიშროების შემთხვევების განხორციელების სამართლებრივი, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი და სახანძრო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტების პროექტებს;



უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და უწყებრივი სახანძრო დაცვის სამსახურების საქმიანობის ინსპექტირებასა და მეთოდური დახმარებას;



ახორციელებს რთული, ფართომასშტაბიანი და ადამიანთა მსხვერპლთან დაკავშირებული ხანძრების მიზეზების კვლევასა და ანალიზს; მათი თავიდან აცილები-სა და შედეგების შერბილების ღონისძიებების შემუშავებას;



ცეცხლსაქრობი საშუალებების, ნივთიერებების, მასალების, დანადგარების, კონსტრუქციების გამოცდას მათი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობაზე.

სამაშველო მომზადებისა და რეაგირების ცენტრი (სამმართველო)



ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული რეაგირებას;



ანარმოებს დისლოკაციის ადგილზე სამაშველო ოცეულების 24 საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის;



მონაწილეობს კომპლექსურ და სპეციალურ ვარჯიშებში;



უზრუნველყოფს საერთაშორისო სამაშველო ოპერაციებში და ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად სამაშველო ჯგუფების მომზადებას;



ახორციელებს სამაშველო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის ნომენკლატურის შემუშავებას, სამაშველო ოპერაციებში გამოცდასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;



ამუშავებს პროფესიული მომზადების გეგმებს, სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს;



ატარებს შესაბამის სწავლებებს მაშველ-მეხანძრეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;